

ფინანსური ანგარიშგება
შპს გალაქსი
2018 წლის 31 დეკემბერი

სარჩევი

1. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	3
2. მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება	5
3. სააღრიცხვო პოლიტიკა	7
4. ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები	12

1. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

	შენიშვნა	31.12.2018	31.12.2017
აქტივები			
ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	4	674,932	133,043
სავაჭრო მოთხოვნები	5	1,415,198	1,857,854
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	6	5,582,802	4,664,000
გადახდილი ავანსები და დარიცხული მისაღები შემოსავალი		720,650	-
<u>სხვა მიმდინარე აქტივები</u>		236	203
<u>სულ მიმდინარე აქტივები</u>		<u>8,393,718</u>	<u>6,655,100</u>
ძირითადი საშუალებები	7	644,528	714,380
არამატერიალური აქტივები	8	111,732	125,357
<u>სულ გრძელვადიანი აქტივები</u>		<u>756,260</u>	<u>839,737</u>
<u>სულ აქტივები</u>		<u>9,149,979</u>	<u>7,494,837</u>
ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები		34,998,618	30,890,454
ვალდებულებები თანამშრომელთა მიმართ		1,460	2,431
საგადასახადო ვალდებულებები		-	329,094
<u>სულ მოკლევადიანი ვალდებულებები</u>		<u>35,000,078</u>	<u>31,221,979</u>
<u>სულ ვალდებულებები</u>		<u>35,000,078</u>	<u>31,221,979</u>

საკუთარი კაპიტალი					
გაუნაწილებელი მოგება / ზარალი				(25,850,100)	(23,727,142)
<u>სულ საკუთარი კაპიტალი</u>				<u>(25,850,100)</u>	<u>(23,727,142)</u>
<u>სულ საკუთარი კაპიტალი და</u> <u>ვალდებულებები</u>				<u>9,149,978</u>	<u>7,494,837</u>

2. მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ანგარიშგება
კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგება

	შენიშვნა	2018
ამონაგები		11,414,752
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება	9	11,760,964
საერთო მოგება		(346,212)
სარეკლამო ხარჯი		123,676
ტრანსპორტირების ხარჯი		25,980
დასაქმებულთა ანაზღაურება	10	368,226
საკონსულტაციო მომსახურება აუდიტორულ- იურიდიული		58,160
იჯარის ხარჯი		28,470
დაცვის მომსახურების ხარჯი		1,220
დაზღვევის ხარჯი		5,771
კომუნალური გადასახადები ხარჯი		2,053
საოფისე ხარჯი		4,936
ცვეთა და ამორტიზაცია		83,903
ბანკის საკომისიო		6,465
საექვო მოთხოვნების ზარალი		51,926
სხვა ადმინისტრაციული ხარჯი		

			21,294
სულ საოპერაციო ხარჯები			782,080
საოპერაციო მოგება			(1,128,293)
საპროცენტო შემოსავალი:	11		5,497
გაუფასურების (ხარჯი)/ რევერსირება:			
მარაგები			23,303
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან:			1,023,465
მოგება/(ზარალი) მოგების გადასახადის ხარჯამდე			(2,122,958)
მოგება/(ზარალი)			(2,122,958)
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი გაუნაწილებელი მოგება/ზარალი)			(23,727,142)
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს (გაუნაწილებელი მოგება/ზარალი)			(25,850,100)

3 სააღრიცხვო პოლიტიკა

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს გალაქსი წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიას, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში 2009 წლის 29 დეკემბერს, საიდენტიფიკაციო ნომრით - 205295955. კომპანიის იურიდიული მისამართი არის საქართველო, ქ. თბილისი, საბურთალოს რაიონი, პეკინის გამზ. 41, მთავარი ოფისის მისამართი გახლავთ საქართველო, ქ. თბილისი, გ. კარტოზიას 10, სადარბაზო 2, ბინა 77. კომპანიის ძირითადი საქმიანობის სფეროა საცალო ვაჭრობა საყოფაცხოვრებო ხელსაწყოებით და მოწყობილობებით, სხვა დაჯგუფებებში ჩაურთველი, საცალო ვაჭრობა ელექტრული საყოფაცხოვრებო ხელსაწყოებით სპეციალიზებულ მაღაზიებში, საბითუმო ვაჭრობა ელექტრული საყოფაცხოვრებო ხელსაწყოებით და მოწყობილობებით.

ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები დაარსების დღიდან 2018 წლის 4 ოქტომბრამდე იყვნენ დირექტორები - ქეთევან ცხვარაძე (პ.ნ. 01026013109), საქართველო და ჯორჯ ჯექობ (პ.ნ. 01897002388, პასპორტის ნომერი Z2264039; Z3674000; M9358520), ინდოეთი. ხოლო 2018 წლის 4 ოქტომბრიდან ხელმძღვანელობაზე/წარმომადგენლობაზე უფლებამოსილი პირები არიან დირექტორები - ნანა გორგაძე (პ.ნ. 01010011388), საქართველო და ჯორჯ ჯექობ (პ.ნ. 01897002388, პასპორტის ნომერი Z2264039; Z3674000; M9358520), ინდოეთი. საზოგადოების დამფუძნებელი პარტნიორია: ჯორჯ ჯექობ, ინდოეთი (პ.ნ. 01897002388, პასპორტის ნომერი Z2264039; Z3674000; M9358520) - 100%.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად.

საქართველოს ეროვნული ვალუტა არის ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა, რადგან იგი საუკეთესოდ ასახავს კომპანიის ოპერაციებისა და სამოქმედო გარემოში მიმდინარე ეკონომიკური მოვლენების შინაარსს.

ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია ქართულ ლარებში და დამრგვალებულია უახლოეს ერთეულამდე.

უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები

ფინანსური ანგარიშგების მომზადების მიზნებისთვის, საანგარიშგებო ვალუტისაგან (ლარი) განსხვავებულ უცხოურ ვალუტაში განხორციელებული ოპერაციები გადაიყვანება ტრანზაქციის განხორციელების დღისთვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის, უცხოურ ვალუტაში დენომინირებული ფულადი მუხლები გადანგარიშებულია ამავე თარიღისთვის არსებული ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსით, რომელიც 2018 წლის 31 დეკემბერს 1 ამერიკული დოლარისთვის შეადგენს 2,6766 ლარს, 1 ევროსათვის შეადგენს 3,0701 ლარს (2017 წლის 31 დეკემბერი: 1 ამერიკული დოლარი - 2,5922 ლარი, 1 ევრო - 3,1044 ლარი). არაფულადი მუხლების გადანგარიშგება წლის ბოლო კურსით არ ხდება და ისინი ბალანსში წარდგენილია ისტორიული ღირებულებით (ლარში გადაყვანილია ოპერაციები განხორციელების დღის კურსით).

საკურსო სხვაობით გამოწვეული სხვაობები ასახულია მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ფული და ფულის ექვივალენტები

კომპანიის ფული და ფულის ექვივალენტები მოიცავს ფულს ხელზე და ფულს საბანკო ანგარიშგებზე.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება.

მიდინარე სავაჭრო მოთხოვნები თავდაპირველად აღიარებულია რეალური ღირებულებით. შემდგომში ისინი ასახულია გაუფასურების რეზერვით შემცირებული ამორტიზირებული ღირებულებით, სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების რეზერვი დადგენილია საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს არსებული სავაჭრო მოთხოვნების 5 %-ის ოდენობით. გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

მარაგი ისეთი აქტივებია, რომლებიც გათვალისწინებულია გასაყიდად ჩვეულებრივი სამეურნეო საქმიანობის პროცესში ან წარმოდგენილია ნედლეულისა და მასალების სახით, რომლებიც განკუთვნილია საწარმოო მოხმარებისთვის ან მომსახურების გასაწევად.

სასაქონლო-მატერიალური მარაგების აღიარება ხდება მისი შესყიდვის ღირებულებასა და ნეტო სარეალიზაციო თვითღირებულებას შორის უმცირესი თანხით. საანგარიშგებო წლის ბოლოს ხდება დეფექტური და მოძველებული საქონლის ღირებულების ჩამოფასება 40-60%-ით ნეტო სარეალიზაციო ღირებულების შესაბამისად. სასაქონლო მატერიალური მარაგების ღირებულება გამოითვლება საშუალო შეწონილი ღირებულების მეთოდით და შეიცავს დანახარჯებს, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეძენასთან, ადგილზე მითანასთან, გადამუშავებასთან და მის იმ მდგომარეობამდე მიყვანასთან, როგორშიც ის იმყოფება.

იჯარა

ბასს 17-ის მიხედვით, იჯარა კლასიფიცირდება ფინანსურ იჯარად თუ იგი ითვალისწინებს ფაქტობრივად აქტივის ფლობასთან დაკავშირებული ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას. იჯარის ვადის დასაწყისში მოიჯარემ ფინანსური იჯარა უნდა აღიაროს როგორც აქტივები, საიჯარო აქტივის რეალური ღირებულების ტოლი თანხით ან, თუ მასზე ნაკლებია, საიჯარო გადასახდელების დღევანდელი ღირებულებით გაუთვალისწინებელი (თავდაპირველი) ხარჯების დამატებით, ასეთის არსებობის შემთხვევაში, შესაბამისი თანხა აღიარებული უნდა იქნეს ფინანსური იჯარის ვალდებულებად, იმის მიუხედავად, რომ ზოგიერთი საიჯარო გადასახდელები გადასახდელია იჯარის გაცემის დღიდან.

ფინანსური იჯარით აღებული ძირითადი საშუალებების შემდგომი აღრიცხვა, ცვეთის მეთოდი და სასარგებლო მომსახურების ვადა შეესაბამება კომპანიის მიერ იურიდიულად ფლობის შესადარის აქტივებს. შესაბამისი ფინანსური ვალდებულება მცირდება საიჯარო გადასახდელებს გამოკლებული საპროცენტო დანახარჯით, რომელიც აღირიცხება ფინანსურ ხარჯად. საიჯარო გადასახდელების საპროცენტო ელემენტი ხარჯად აღიარდება მოგება-ზარალში იმ პერიოდში, როდესაც იქნება განეული.

ყველა სხვა იჯარა აღიარებულია, როგორც საოპერაციო იჯარა. გადახდები, საოპერაციო იჯარის ხელშეკრულების შესაბამისად, აღიარებულია ხარჯებში. მასთან დაკავშირებული ხარჯები, როგორიცაა შენახვის და სადამღვევო ხარჯები, აღიარდება როგორც განეული ხარჯი.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები აღირიცხება თვითღირებულებით, რაც მცირდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის თანხებით, თვითღირებულება განისაზღვრება შესყიდვის ფასით, იმპორტთან დაკავშირებული გადასახადებით, გამოუქვითავი გადასახადებითა და სხვა პირდაპირი ხარჯებით. როცა ძირითადი საშუალებები შეიცავს სხვადასხვა კომპონენტებს,

რომლებსაც გააჩნიათ სხვადასხვა სარგებლობის ვადები, ისინი აღირიცხებიან ცალ-ცალკე, როგორც ძირითადი საშუალებების ცალკეული კომპონენტები.

მოგება ან ზარალი, რომელიც წარმოიშვება აქტივის გაყიდვიდან ან ჩამოწმებიდან, განისაზღვრება სხვაობით მიღებულ სარგებელსა და საბალანსო ღირებულებას შორის და აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში.

ხარჯები, რომლებიც დაკავშირებულია ძირითადი საშუალებების კომპონენტების ჩანაცვლებასთან, კაპიტალიზდება იმ კომპონენტის საბალანსო ღირებულებასთან ერთად, რომელიც ჩამოწმებულ იქნა. სხვა დანახარჯები კაპიტალიზდება იმ შემთხვევაში, თუ შესაძლებელია ეკონომიკური სარგებლის მიღება მომავალში. ყველა სხვა ხარჯი, მათ შორის შეკეთება-განახლების, აღიარდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში მისი მოხდენისთანავე.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. ცვეთის დარიცხვა იწყება მას მერე, რაც შესაძლებელია აქტივის გამოყენება. ძირითად საშუალებების ჯგუფებისთვის განსაზღვრული სასარგებლო მომსახურების ვადები წარმოდგენილია შემდეგ ცხრილში:

შენობა-ნაგებობების ცვეთა - 10 წელი

მანქანა-დანადგარები და მოწყობილობები 5-10 წელი

ოფისის აღჭურვილობა, ავეჯი და ინვენტარი - 5-8 წელი

სატრანსპორტო საშუალებები - 4-5 წელი

იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა - იჯარის ვადისა და აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადას შორის უმცირესი.

არამატერიალური აქტივები

კომანიის მიერ შეძენილი არამატერიალური აქტივები, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, წარმოდგენილია თვითღირებულებით, რომელსაც გამოკლებული აქვს დაგროვილი ამორტიზაცია და გაუფასურების ზარალი.

შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადის მქონე არამატერიალური აქტივებისთვის ამორტიზაციის დარიცხვა ხდება მოგება-ზარალის ანგარიშგებაში ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების გზით მათი სავარაუდო სასარგებლო

მომსახურების ვადაზე, წრფივი მეთოდის გამოყენებით. სავარაუდო მომსახურების ვადა შეადგენს 5-15 წელს პროგრამული უზრუნველყოფისთვის, უფლებებისთვის და სხვა.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადის ხარჯი არის მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადისა და გადავადებული გადასახადების ხარჯი.

მიმდინარე პერიოდში გადასახდელი გადასახადები ეფუძნება მიმდინარე წლის დასაბეგრ მოგებას.

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები მოგების გადასახადთან დაკავშირებით.

2017 წლის მოგების გადასახადით დაბეგვრის ესტონური მოდელის მიხედვით, იმ შემთხვევაში, თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, მაშინ მოგების გადასახადით დასაბეგრი ბაზა არ წარმოიშვება, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება. ასევე, მოგების გადასახადით იბეგრება ისეთი ტრანზაქციები ინდივიდუალურ პირებთან, რომელიც დაკავშირებულია მოგების მიღებასთან (ბენეფიტი, საჩუქარი, გადახდები, რომლებიც არაა ეკონომიკურ საქმიანობასთან დაკავშირებული და სხვა).

აღნიშნული ცვლილებების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებში, ანგარიშგებაში. შესაბამისად გადავადებული საგადასახადო აქტივი და ვალდებულება, როგორც განსაზღვრულია ბასს 12 მოგებიდან გადასახადებით არ წარმოიქმნება 2017 წლის 1 იანვრიდან.

ამონაგების აღიარება

ამონაგები აღიარდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, მასში გათვალისწინებულია სავაჭრო ფასდათმობები და კომპანიის სხვა შეღავათები.

ამონაგები შემცირებულია გაყიდული საქონლის უკან დაბრუნებით, ფასდათობებით და სხვა მსგავსი პედაგოგებით.

ამონაგები შეიძლება აღიარდეს, როდესაც ყველა ქვემოთ ჩამოთვლილი პირობა არის შესრულებული:

- კომპანიამ გადასცა მყიდველს მფლობელობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი რისკები და სარგებელი;
- კომპანიას აღარ აქვს რეალიზებულ საქონელზე/მომსახურებაზე არანაირი მმართველობითი უფლება ან კონტროლი;
- შემოსავალი საიმედოდ შეიძლება შეფასდეს.

ფინანსური ანგარიშგების ახსნა განმარტებითი შენიშვნები

შენიშვნა 4

ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	2018	2017
ნაღდი ფული სალაროში ეროვნულ ვალუტაში	9,068	8,739
ფული საბანკო ანგარიშებზე ეროვნულ ვალუტაში	664,707	124,301
ფული საბანკო ანგარიშებზე ევრო ვალუტაში (აშშ დოლარი)	1,156	3
ფული საბანკო ანგარიშებზე ევრო ვალუტაში (ევრო)	1	1
სულ	674,932	133,043

შენიშვნა 5

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2018	2017
სავაჭრო მოთხოვნები	1,489,579	1,955,636
სავაჭრო მოთხოვნების რეზერვი	74479	97782
სულ	1,415,100	1,857,854

2018 წელს კომპანიამ აღადგინა სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ზარალი 23303 ლარის ოდენობით (2017 წელს აღიარა 97782 ლარის სავაჭრო მოთხოვნების გაუფასურების ზარალი).

შენიშვნა 6

სასაქონლო-მატერიალური მარაგები

31.12.2017	საწყისი	4,664,000
საანგარიშგებო პერიოდი	შეძენა	12,282,797
საანგარიშგებო პერიოდი	რეალიზაცია	11,312,069
31.12.2018	საბოლოო	5,634,728

შენიშვნა 7

ძირითადი საშუალებები

	მინა	შენიშვნები	ავტო და ოფისის აღჭურვილობა	სატრანსპორტო საშუალებები	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	სულ
31 დეკემბერი 2017						
მდგომარეობით საბალანსო ღირ.	537,917	10,161	665,184	99,472	44,770	1,357,504
შემოსვლა			5,364			5,364
გასვლა		10,161	28,078			38,239
31 დეკემბერი 2018	537,917	-	642,471	99,472	44,770	1,324,630
ცვეთა და გაუფასურება						
31 დეკემბერი 2017წ		5,589	521,815	96,534	19,187	643,125
პერიოდის ცვეთა 2018წ.		254	43,461	979	25,583	70,277
გასვლა		5,843	27,457			33,299
31 დეკემბერი 2018წ	-	-	537,818	97,513	44,770	680,102
წმინდა საბალანსო ღირებულება						-
31 დეკემბერი 2017	537,917	4,572	143,370	2,937	25,583	714,380
31 დეკემბერი 2018	537,917	-	104,653	1,958	-	644,528

შენიშვნა 8

არამატერიალური აქტივები

	პატენტები	ბუღალტრული პროგრამა	სხვა არამატერ. აქტივი	სულ
31 დეკემბერი 2017	1,647	193,915	25,418	220,980
შემოსვლა				-
გასვლა				-
31 დეკემბერი 2018	1,647	193,915	25,418	220,980
ცვეთა და გაუფასურება				-
31 დეკემბერი 2017	848	71,813	22,961	95,622
პერიოდის ცვეთა 2018წ.	65	12,920	641	13,626
გასვლა				-
31 დეკემბერი 2018	913	84,733	23,601	109,248
წმინდა საბალანსო ღირებულება				-
31 დეკემბერი 2017	799	122,102	2,457	125,358
31 დეკემბერი 2018	733	109,181	1,817	111,732

შენიშვნა 9

რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება

	2018
სასაქონლო მატერიალური მარაგების თვითღირებულება	11,312,069
იჯარის ხარჯი	380,997
კომუნალური ხარჯი	20,533
კომუნიკაციის ხარჯი	11,926
დასუფთავების ხარჯი	10,971
დაცვის მომსახურების ხარჯი	1,220
ბანკის საკომისიო	23,246
სულ	11,760,964

შენიშვნა 10

ფინანსური შემოსავალი

ანაბარზე დარიცხული საპროცენტო შემოსავალი

	5,497
სულ ფინანსური შემოსავალი	5,497

საპროცენტო სარგებელი წარმოადგენს თიბისი ბანკში განთავსებულ ფულად სახსრებზე მიღებულ სარგებელს.

შენიშვნა 11

ღირეცტორებსა და უმაღლესი რანგის ხელმძღვანელობაზე გაცემული ანაზღაურება

	2018	2017
შრომის ანაზღაურება	115,996	133,465
სულ	115,996	133,465

შენიშვნა 12

დაკავშირებულ მხარეთა ოპერაციები

2017-2018 წლის განმავლობაში შპს ენერჯი ინვესტს ურთიერთობა ქონდა ურთიერთდაკავშირებულ პირებთან Syscon FZE (ორივე კომპანიის 100% წილის მფლობელი მესაკუთრე გახლავთ ჯორჯ ჯექობ, ინდოეთი (პ.ნ. 01897002388, პასპორტის ნომერი Z2264039; Z3674000; M9358520) - 100%.) და Technics FZE ((ორივე კომპანიის 100% წილის მფლობელი მესაკუთრე გახლავთ ჯორჯ ჯექობ, ინდოეთი (პ.ნ. 01897002388, პასპორტის ნომერი Z2264039; Z3674000; M9358520) - 100%.)

საქონლისა და მომსახურების შეძენა:

	2018	2017
საქონლის შეძენა		
Syscon FZE	6,177,492	2,463,270
Technics FZE		757,347
სულ	6,177,492	3,220,617

დაკავშირებულ მხარეებთან განხორციელებული ოპერაციების დაუფარავი ნაშთები:

	2018	2017
ვალდებულებები დაკავშირებული მხარეებისადმი		
Syscon FZE	5,525,658	2,847,865
Technics FZE	26,073,369	25,251,209
სულ	31,599,027	28,099,074

საქონლის შეძენა მოხდა საბაზრო პირობებით. აღნიშნული კომპანიებისგან ხდება ტექნიკის შემოტანა. დაკავშირებული მხარეებისადმი ვალდებულება გადასახდელია. არ არის უზრუნველყოფილი და ვალდებულებას არ ერიცხება საპროცენტო ხარჯები.

შენიშვნა 13

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი არამაკორექტირებელი მოვლენები

2019წლიდან კომპანიის საქმიანობის ერთ-ერთი სფერო საცალო ვაჭრობის მიმართულებით დაიხურა და ძირითად სფეროდ დარჩა საბითუმო ვაჭრობა ელექტრული საყოფაცხოვრებო ხელსაწყოებით და მოწყობილობებით.

შენიშვნა 14

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და გამოსაცემად ნებადართულია დირექტორის მიერ 2019 წლის 30 სექტემბერს.

დირექტორი

ნანა გორგაძე

